ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2566815

ნომერი: AR1394374

თარიღი : 08.04.2016

გაცემის თარიღი : 10.05.2016

გაცნობის თარიღი : 10.05.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მელიქიშვილი N15 ; ქალაქი თბილისი , გამზირი მელიქიშვილი , N 17-19 , ქუჩა ქუჩიშვილი , შესახვევი , N 4-6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ტრისტან სამუშია პ/ნ 01030004806
- თბილისი ტყვიავის ქ. N 10

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, რომლითაც ითხოთ მიწის ნაკვეთებისთვის საკადატსრო კოდით: #01.15.03.016.015 და #01.15.03.017.004 ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას გაცნობებთ შემდეგს: როგორც უკვე გეცნობათ, AR1380479 24.02.2016 განცხადების საფუძველზე, საკითხი არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: #01.15.03.016.015 და #01.15.03.017.004) ქალაქთმშენებლობით პარამეტრების მომატების მიზნით, ამავე დასაბუთების საფუძელზე, განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოზე (2016 წლის 4 მარტის სხდომის ოქმი #10), სადაც მიიღო უარყოფითი შეფასება და მიეცა გარკვეული რეკომენდაციები; იმ შემთხვევაში თუ იქნება აღნიშნული საბჭოს ოქმებში დაფიქსირებული შენიშვნების და რეკომენდაციების გათვალისწინებით წარმოდგენილი ახალი დოკუმენტაცია, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება მინიმუმ ერთი ავტოსადგომი ერთ საცხოვრებელ ერთეულზე (პარკირების სქემით და ბინების შესაბამისი ავტოსადგომების რაოდენობის მითითებით, მთლიანი პროექტის მიხედვით) სამსახური კვლავ განიხილავს საკითხს კანონით დადგენილ ვადებში;

ზოგადი დმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.